პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
სამშაბათი
4
მაისი
№ 103
(16533)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

KOMUNISTI

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

135 მილიონი მანეთის საერთაშორისო უფასო გეგმის ფარგლებში!

ეს შესაძლებელია კოლექტიური შრომის ნამდვილად ეფექტიანი ორგანიზაციით. როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშებთან შეხვედრაზე აღნიშნა: თვითეულ მუშას ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი თავისი ადგილი შრომის პროცესში, იცოდეს, რას და რისთვის აკეთებს. რა არის მასზე დამოკიდებული, გრძნობდეს, რომ მისი შრომა საერთო მუშაობის აუცილებელი ნაწილია.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სკკპ XXV ყრილობის მომზადებამ და ჩატარებამ მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის უაღრესად დიდი აღმავლობა გამოიწვია, რაც გამოვლინდა აგრეთვე იმით, რომ ყრილობამ და სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მასობრივად მიიღეს საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების, ორგანიზაციების კოლექტივებისა და ცალკეული საბჭოთა მოქალაქეების წერილები, დეპეშები და შრომითი პატაკები. ამ ხნის მანძილზე ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელზე მოვიდა 600 ათასზე მეტი წერილი და დეპეშა, უამრავი წერილი მიიღეს ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა.

სკკპ XXV ყრილობამ დიდი ყურადღებაა დაუთმო შრომელთა წერილებს, აღნიშნა მათი, როგორც მასებთან პარტიის კავშირის ერთ-ერთი ფორმის, დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა, რომლებიც ასახავს „მილიონობით შრომელის უფიდეს ენთუზიაზმს, კომუნიზმის მშენებელი დიდი, უმძლავრესი სახელმწიფოს მაგისცემას“ (ლ. ი. ბრეჟნევი). ყრილობამ აღნიშნა, რომ წერილების რიცხვის ზრდა და მათი შინაარსი მოწმობს საბჭოთა ადამიანების მზარდ შეგნებას, მათს საზოგადოებრივ აქტივობას, პოლიტიკურ სიმწიფეს, დიდ ზრუნვას სოციალისტური საშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, კომუნისტური პარტიის პოლიტიკისადმი უსაზღვრო ნდობასა და მისი ლენინური კურსის მხარდაჭერას.

უკანასკნელი წლების მანძილზე ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანიზაციებში მიღებული მშრომელთა წერილების შინაარსსა და ხასიათში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გაიზარდა წერილების რიცხვი, სიდიდე აღძრულია საზოგადოებრივ-პარტიული და საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც შეიცავს მკაფიო და ცხოველ გამოხმაურებას საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებსა და ღონისძიებებზე, კონკრეტულ, საქმიან წინადადებებს, რჩევა-დარიგებასა და სურვილებს, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, ხრსეულო ნაკლოვანებათა უსწრაფესი აღმოფხვრა. წერილების ავტორთა მიერ გამოთქმული ბევრი წინადადება გამოყენებულ იქნა სკკპ XXV ყრილობის მასალების მომზადებისას და აისახა მის დოკუმენტებში, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი რჩევა-დარიგებები და მოსაზრებები განხილულია სკკპ ცენტრალურ კომიტეტში. გათვალისწინებულია დადგენილებათა შემუშავების, მათი შესრულებისადმი კონტროლის დროს, ხელმძღვანელი ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აზრით, სკკპ XXV ყრილობის მომზადებისა და ჩატარების, სსრ კავშირს სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის პერიოდში მშრომელთა წერილებზე მუშაობის გამოცდილება ფართოდ უნდა გაირცელდეს და გამოყენებულ იქნეს მშრომელთა წერილობითი და ზეპირი მიმართვების განხილვის ორგანიზაციის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესების მიზნით.

ამასთანავე სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა ავრეთვე, რომ არსებითი ნაკლოვანებებია წერილებზე მუშაობასა და მოქალაქეთა მიღებას ორგანიზაციაში. ჯერ კიდევ გვხვდება წინადადებების, თხოვნისა და სარჩივრების დადაწყვეტისადმი უყურადღებო, გულგრილი დამოკიდებულების ფაქტები, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელი ჯეროვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას არ ანიჭებს ამ დიდმნიშვნელოვან მუშაობას, გამარტივებულად უდგება მის შესრულებას; ბევრ ორგანიზაციაში საჭირო ომმოხილვნელობას არ იჩენენ კადრებისადმი მშრომელთა წერილების ზუსტი და დროული განხილვისათვის. არის მოქალაქეთა დასაბუთებული თხოვნისადმი ფორმალური დამოკიდებულების შემთხვევები, რაც აიძულებს მათ განმეორებითი სარჩივრებით მიმართონ ზემდგომ ორგანოებს, ცალკეული წერილების განხილვა გაუმართლებლად ყოვნდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აზრით, სოციალისტური დემოკრატიის თანამიმდევრული განვითარების, მასებთან პარტიის კავშირურთიერთობის განმტკიცების პირობებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად მისი ფორმებისა და მეთოდების ყოველნაირი სრულყოფა.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოთა აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს, საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, ამასთან ზუსტად იხელმძღვანელონ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებასა და ყრილობის დახურვისას წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული დებულებებითა და ამოცანებით, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ წერილებზე მუშაობის ამ დადებითი გამოცდილების დამკვიდრებას, გავრცელებასა და განვითარებას; რომელიც შეძენილია სკკპ XXV ყრილობის მომზადებისა და ჩატარების დროს, პრაქტიკულ საქმიანობაში მშრომელთა წინადადებებისა და სურვილების აქტიურ გამოყენებას ეკონომიური და კულტურული მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულების მიზნით.

მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ფართოდ გაშლილმა პოლიტიკურ-აღმზრდელობითმა მუშაობამ, მოსახლეობის ოპერატიულმა ინფორმირებამ პარტიისა და სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების განმარტებამ, საბჭოთა კანონების პროპაგანდამ, მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესებამ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების განყოფილებებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად, 1976 წლის 1 ივლისამდე დაამთავრონ მუშაობა სკკპ XXV ყრილობის სახელზე მოსულ მშრომელთა წერილებზე, უზრუნველყონ ამ წერილებში აღძრული საკითხების ყურადღებიანი და ყოველმხრივი განხილვა, აქტიურად გამოიყენონ მუშაობა, კოლმეურნეობა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა წინადადებანი და სურვილები, რომელთა მიზანია საქმის გაუმჯობესება და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა.

პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და სამეურნეო ორგანოებმა მშრომელთა წერილებზე მუშაობის ლენინური პრინციპების თანამიმდევრულ განხორციელებასთან ერთად რეგულარულად უნდა შეამოწმონ მოქალაქეთა წერილობითი და ზეპირი მიმართვების განხილვის ორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებათა შესრულება, მკაცრი კონტროლი გაუწიონ მათს გადაწყვეტას, განიხილონ ამასთან დაკავშირებული საკითხები პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და ბიუროებზე, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიებზე და აღმასკომებში, სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიებზე, მოისმინონ ანგარიშები, უფრო ფართოდ ჩაბან განცხადებათა გარჩევაში პარტიულ-საბჭოთა აქტივი. მუშაობის პრაქტიკაში შემოიღონ მიღებული წერილების სისტემატური კომპლექსური შესწავლა, მათი ანალიზის საფუძველზე გამოიტანონ საჭირო დასკვნები, რომლებიც დაკავშირებული იქნება მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანების გადაწყვეტასთან, განახორციელონ ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში მოქალაქეთა პირადი მიღების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. დღენიადაგ იზრუნონ იმისათვის, რომ ამაღლდეს სამმართველო აპარატის მუშაობის კულტურა, აღიზარდოს კადრები თვითეული წერილის გარჩევისადმი ყურადღების, გულისხმიერი, პრინციპული და საქმიანი მიდგომის, ადამიანებისადმი, მათი აზრებისა და მოთხოვნილებებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მკაცრად მოჰკიდონენ თანამდებობის პირთ, რომლებიც არღვევენ მშრომელთა წერილებზე მუშაობის დადგენილ წესს, ფორმალურ-ბიუროკრატიულად უდგებიან მათს განხილვას, დროზე გამოეხმაურონ კრიტიკულ სიგნალებსა და ცნობებს ნაკლოვანებათა და ბოროტმოქმედებათა შესახებ, უფრო ზზრიად ჩავიდნენ ხოლმე ადგილებზე კონკრეტული სახელობის განსახილველად.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები, საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები მოვალენი არიან, როგორც წესი, განიხილონ მშრომელთა წერილები არა უმეტეს ერთი თვის ვადაში; დროზე შეატყობინონ წერილების ავტორებს მათი წინადადებებისა და თხოვნის განხილვის შედეგები.

ცენტრალური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის რედაქციებმა რეგულარულად გამოაქვეყნონ მშრომელთა წერილები, ცნობები მათ გამო მიღებულ ღონისძიებათა შესახებ, აქტიურად გამოიყენონ სარედაქციო ფოსტის ანალიზის შედეგები საჭირბოროტო თემებზე მასალების მოსამზადებლად და გამოსაქვეყნებლად, უფრო ფართოდ გააშუქონ მოქალაქეთა წერილებზე და ზეპირ განცხადებებზე მუშაობის ორგანიზაციის საკითხები, სააკაროზე გამოიტანონ მშრომელთა სამართლიანი საჩივრების გადაწყვეტაში ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების ფაქტები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწონა მუშაობის გამოცდილება გაზეთ „პრავდის“ რედაქციას, რომელიც სისტემატურად აქვეყნებს მკითხველთა წერილებს, აგრეთვე მასალებს მათი განხილვის შედეგების შესახებ.

სკკპ დელეგაცია გერლინს გაემგზავრა

8 მაისს მოსკოვიდან ბერლინს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის სარედაქციო კომისიის სხდომაში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი. (საკდესი).

მთავარი მიზანია ხალხის კეთილდღეობა

ოპტიმიზმითა და რწმენით

ჩვენ ყველანი—ქუთაისელი ავტომობილმშენებლები, უდიდესი ყურადღებით ვუყურებდით და ვუსმენდით ტელევიზიით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხანაში. ლეონიდ ილიას-ძის სიტყვამ შთაგვაგონა და ახალი ენერგია შეგვმატა, იგი ჩვენი ბრიგადების პროგრამა გახდა. განსაკუთრებით ღრმად ჩაგვწვდა გულში ამხანაგ ბრეჟნევის სიტყვები იმის შესახებ, რომ საბჭოთა ადამიანები ოპტიმიზმითა და რწმენით შესცქერიან მომავალს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა მშრომელთა ცხოვრების დონის მუდმივი ამაღლება. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა.

ჩვენ წარმატებით შეავსრულეთ ოთხი თვის გეგმა. ამ გამარჯვებისათვის ქარხანა ზედიზედ მეთხუთმეტედ დაჯილდოვდა სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსა და მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

იანვარში საწარმოში რეკონსტრუქცია დაიწყო. მაგრამ პროდუქციის გამოშვების ტემპი არ შეგვინელებია. წლის დამლევისათვის ხარისხის სახელმწიფო ნიშანზე წარადგენთ კაზ-608 „ე“ ავტომობილს. მეათე ხუთწლედი ჩვენთვის აუცილებლად გახდება ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედი. ამას მოწმობს წარმატებით დაწყებული სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც მიმდინარეობს დევიზით: „თვითეულის შრომის მაღალი ეფექტიანობიდან — კოლექტივის შრომის მაღალ ეფექტიანობამდე“.

ბორის ვაშაკიძე,
ქუთაისის ხ. ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხნის გამომცდელი მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი.

უკეთესი ცხოვრებისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშებთან, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვა, რომ მან ქარხნის კოლექტივს გადასცა სამშობლოს მაღალი ჯილდო — ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, მისი მიღოცვა ლენინგრადში კიროვის გაერთიანების კოლექტივისადმი სიამაყით გვავსებს, რომ ჩვენი მშობლიური პარტია ასე დიდ მზრუნველობას იჩენს საბჭოთა ადამიანებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი პოლიტიკის მთავარი მიზანია უკეთესი ცხოვრება შეუქმნას ხალხს. განსაკუთრებით ვვახარებს ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მტკიცე მისწრაფება განახორციელონ სკკპ XXV ყრილობაზე წამოყენებული მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა.

მე, როგორც მქსოველი, ვმონაწილეობი სკკპ XXV ყრილობის მუშაობაში, მეათე ხუთწლედის ანალ მიღწევათა დიდებული პროგრამის მიღებაში.

მეცხრე ხუთწლედი შეეგასრულეს სამ წელიწადსა და ცხრა თვეში, მეათე ხუთწლედის პირველი კვარტალის გეგმა კი სკკპ XXV ყრილობის გახსნის დღისათვის. მეათე ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედია. ყრილობიდან რომ დავბრუნდი, ვალდებულება ვიკისრე პროდუქციის 90 პროცენტზე მეტი გამოვუშვა პირველი ხარისხით, შრომის ნაყოფიერება გავზრდო 10 პროცენტით.

ცირა კილასონია,
თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მჭსოველი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი.

თბილისელმა თინგიზ ჩემიამ 1975 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და კომკავშირული საგზურით ენგურჰესის დიდ მშენებლობაზე წავიდა სამუშაოდ. ახლა-ბედა ინჟინერი დანიშნეს საქართველოს ენერგეტიკის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ კაშხლის მშენებლობაზე შექმნილ ნატურალურ დაკვირვებათა განყოფილებაში ბეტონის ხარისხის კონტროლიორად.

უნიკალური კაშხლის მშენებლობაზე მოკავარია ბეტონის ხარისხი, რადგანაც კაშხლის ქვაბულში მილიონობით კუბური მეტრი წყალი გროვდება. თ. ჩემია დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, სისტემატურ კონტროლს უწევს კაშხლის ტანში ჩასხმულ ბეტონის ხარისხს, იბრძვის მისი გაუმჯობესებისათვის.

კომკავშირელ ჭაბუკს დიდი ავტორიტეტი აქვს მოზვეპილი მშენებლობაზე. მან გადაწყვიტა მშენებლობის დამთავრებამდე აქ დარჩეს სამუშაოდ.

სურათზე: ნატურალურ დაკვირვებათა განყოფილების ხარისხის ინსპექტორი თინგიზ ჩემია.

ჟ. ყუფუნიას ფოტო.

5 დღის ნორმა — 4 დღეში!

თელავი. (საკ. კორ.). სამეგრელოს ფაბრიკის (დირექტორი გ. ორთოიძე) კოლექტივმა ვადაზე ადრე ბრიწინთლად გაანაღდა საპირველმისოდ ნაკისრი ვალდებულება, გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ოთხი თვის გეგმები. 1.502 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშეებულია 1.541 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო 1.512 ათასი მანეთის მაგიერ რეალიზებულია 1.545 ათასი მანეთის საწარმი.

ახლა ფაბრიკის ბევრი მუშა შრომობს ასეთი დევიზით: 5 დღის ნორმა — 4 დღეში!

ჩვენი მიმოხილვა

სწრაფად დავძლიოთ ჩამორჩენა თესვაში

დათესილია მხოლოდ 158.926 ჰექტარი

როგორც ცნობილია, აპრილში მოსულმა ხშირმა წვიმებმა შეაფერხა საგაზაფხულო კულტურების თესვა. მაგრამ ისიც ცხადია, ყოველი ხელსაყრელი დღე და საათი სრული დატვირთვით რომ ყოფილიყო გამოყენებული, ასეთი ჩამორჩენაც არ იქნებოდა.

რა მდგომარეობაა საგაზაფხულო კულტურების თესვაში? ამაზე პასუხს იძლევა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობები (26 აპრილი), სულ დათესილია 158.926 ჰექტარი, რაც გეგმის 40 პროცენტს შეადგენს. ჩამორჩენა ძირითადად სიმინდის თესვაზე მოდის. გეგმით გათვალისწინებული 105.187 ჰექტარიდან სამარცვლე სიმინდი დათესილია ნახლოდ 37.560 ჰექტარზე. ძლიერ ჩამორჩა სოიის და ლობიოს თესვაც. ამ პერიოდისათვის მზესუმზირას თესვის გეგმა შესრულებული იყო 97 პროცენტით.

კარტოფილის თესვის რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 34 პროცენტით, სულ ბოსტნეულისა — 67 პროცენტით. ცალკეულ რაიონებში თესვა ნელი ტემპით მიმდინარეობს. მართალია, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში აპრილში მეტად არახელსაყრელი ამინდი იდგა, მაგრამ თესვის მხოლოდ 5 პროცენტით შესრულება არაფრით არ არის გამართლებული.

ხაშურის რაიონში სიმინდის თესვის გეგმა შესრულებული იყო 26 პროცენტით, ქარელის — 5, გორის — 18, კასპის — 15, საგარეჯოს — 27, გურჯაანის — 48, სიღნაღის — 65, წითელწყაროს — 78, თელავის — 62, ახმეტის — 60, ყვარლის — 32, ლაგოდეხის — 27, გარდაბნის — 42, მცხეთის — 35, მარნეულის — 49, ბოლნისის — 38, დუშეთის — 13, თეთრი წყაროს — 15, დმანისის — 0, თიანეთის — 3, წყალტუბოს — 25, სამტრედიის — 30, ზუგდიდის — 22, ვანის — 44, მაიაკოვსკის — 45, ზესტაფონის — 55, თერჯოლის — 43, ჭიათურის — 25, საჩხერის — 11, ორჯონიკიძის — 32, ტყიბულის — 33, ონის — 2, ამბროლაურის — 0, ცაგერის — 0, ლენტეხის — 0, აბაშის — 41, ცხაკაიას — 29, გეგეჭკორის — 46, ზუგდიდის — 39, ჩობის — 57, წალენჯიხის — 32, ჩხოროწყუს — 32, მახარაძის — 31, ლანჩხუთის — 32. ჩოხატაურის რაიონში — 10 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—14, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 7 და აჭარის ასს რესპუბლიკაში — 13 პროცენტით.

დრო არ ითმენს. **საჭიროა მთელი ძალები დავრაზმოთ საგაზაფხულო კულტურების თესვის უახლოეს დღეებში დამთავრებისათვის. ყველგან შემოვიღოთ ორ ცვლად მუშაობა, მთელი დატვირთვით გამოვიყენოთ ტექნიკა. სიტყვა თქვენ გეკუთვნით, მხვნელ-მთესველებო, მექანიზატორებო!**

ნ. ჯანჯღავა.

მშობლიური „დედა ენა“

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოცემის მე-100 წლისთავისათვის



1976 წელს 100 წელი სრულდება, რაც საქართველოში პროგრესული პედაგოგიკის ფუძემდებელმა, ცნობილმა პუბლიცისტმა და მწერალმა იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენა“ გამოსცა. ამ სახელმძღვანელომ, რომლითაც ქართველი ახალგაზრდობის მრავალი თაობა აღიზარდა, უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს სახალხო ორგანოებისა და კულტურის განვითარებაში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ამ საქმეში იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარსა“ და „რუსკოე სლოვოს“.

მაგრამ იაკობ გოგებაშვილის მდიდარმა მემკვიდრეობამ მხოლოდ საბჭოთა სინამდვილის პირობებში პოვა ყველაზე სრული ხორცშესხმა მოზარდ თაობის სწავლებასა და აღზრდაში, რესპუბლიკის სკოლების დაწყებითის კლასებში ქართულ და რუსულ ენებს დღესაც „დედა ენის“ და „რუსკოე სლოვოს“ პედაგოგიური პრინციპებს საფუძველზე შემუშავებული სახელმძღვანელოებით სწავლობენ.

ქართველი ხალხის განათლების საქმეში იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა სახელმძღვანელოს გამოცემის მე-100 წლისთავის იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომისია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცა განიხილოს და გადაწყვიტოს ეროვნული იაკობ გოგებაშვილის სახელმუზეუმის რესპუბლიკური მნიშვნელობის მუზეუმად გარდაქმნისა და საქართველოს სსრ ვანათლების სამინისტროსათვის დაქვემდებარების საკითხი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაევალა სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტთან შექმნას იაკობ გოგებაშვილის კაბინეტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტ დაევალა წლეულს, ოქტომბრამდე 20 ათას ცალად გამოუშვას საქართველოს განათლების სამინისტროს და პედაგოგიური საზოგადოების მიერ მომზადებული „დედა ენის“ საიუბილეო გამოცემა შესაბამისი კომენტარებით, აგრეთვე ბროშურები სახალხო განათლების განვითარებაში „დედა ენის“ როლისა და მნიშვნელობის შესახებ, იაკობ გოგებაშვილს რჩეული პედაგოგიური თხზულებები ქართულ და რუსულ ენებზე, გამოსცეს იაკობ გოგებაშვილის პორტრეტები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს მწერალთა კავშირს, პარტიის საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს დაეგალათ წლეულს ოქტომბერში რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მეცნიერების, მწერლობის, თვალსაჩინო პედაგოგების მონაწილეობით მოაწყონ მასობრივი ღონისძიებები, რომლებიც მიეძღვნება „დედა ენის“ გამოცემის მე-100 წლისთავს.

რესპუბლიკურ გაზეთებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ ფართოდ გაშუქონ „დედა ენის“ როლი და მნიშვნელობა სახალხო განათლებაში. (საინფორმაციო).

2-3 მაისი

„პრავდის“ ფურცლებზე

საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნეს პირველი მაისი — პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაული.

გაზაფხულის, შრომისა და მშვიდობის ზეიმი სსრ კავშირის ხალთა ურღვევი მეგობრობის, კომუნისტური პარტიის გარშემო მათი დარაზმულობის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მათი მტკიცე გადაწყვეტილების დემონსტრაციად გადაიქცა.

2 მაისის ნომერი თითქმის მთლიანად ამ დიდ მოვლენას ეძღვნება. თუ როგორ ჩაიარა პირველი მაისის დღესასწაულმა მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქებში („ქვეყანას წითელი მაისის დროშები დაჯგრიალებს“) მოთხრობილია მესამე გვერდზე. აქვეა კორესპონდენცია თბილისში ვამარული ზეიმის შესახებ („ვეფხვრანების მხარდამხარ“),

საერთო სათაურით — „მშვიდობისა და შრომის დღესასწაული“ „პრავდის“ და სხვადასხვა კორესპონდენტები იტყობინებიან, თუ როგორ იზეიმა მოწინავე კაცობრიობამ წლევანდელი პირველი მაისი.

3 მაისის მოწინავეში („ხუთწლედს — მილიონების შემოქმედება“) ნათქვამია:

„საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომით მეათე ხუთწლედის მატიანეში პირველი სახელოვანი ფურცლები ჩაიწერა. რას ეოგვითხოვდა ეს ფურცლები? ინდუსტრიის მუშაკებმა კვარტალური გეგმის გადაჭარბებით გაასალეს ორ მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, სამრეწველო წარმოების მატებამ შარშანდელი წლის ამავე პერიოდთან შედარებით ხუთი პროცენტი შეადინა. მიღწეულმა ეკონომიკურ დადებითმა მაღალხარისხოვან დაამთავრონ თესვა, რათა მტკიცე საფუძველი შეუქმნან მოსავალს, ამენონ სწრაფად, ხარისხიანად, ეკონომიურად, თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე — ასეთია მშენებელთა დევიზი. სოციალისტური შეჯიბრების დროს იბადება პატრიოტული თანსოლიბები, მისი ათასობით მონაწილე გვიჩვენებს შრომისადმი ნამდვილი კომუნისტური დამოკიდებულების ნიმუშებს“.

ამ ნომრის საერთო აზრია „საზეიმო დღეების დამკვრელურ პუსტზე“.

აქ გამოქვეყნებულია „პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტის ბ. ლებანიძის ინფორმაცია — „რუსთავის ჩირაღდნები“, რომელშიც ლაპარაკია ქართველი მეტალურგების თავდადებულ შრომაზე.

ინფორმაცია მკითხველებს აცნობს, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა ზედიზედ ცხრაჯერ მოიკოვა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. უკანასკნელად იგი მოკოვებულია მეათე ხუთწლედის პირველი წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 250 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ინფორმაცია აგრეთვე იტყობინება იმ კეთილ განწყობილებას, რაც ქართველ მეტალურგთა შორის მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შედეგად სუფევს.

მეტალურგებმა ერთხელ კიდევ განაცხადეს, რომ ყველა ღონეს იხმარენ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მკითხველი აქვე გაეცნობა სახელოვანი მეტალურგების ლ. მეტრეველის, ო. ლომაძისა და უ. ივანიშვილის მადალ საწარმოო მაჩვენებლებს, აგრეთვე ქართველი, აზერბაიჯანელი და უკრაინელი მეტალურგების მეგობრობის ახალ ამბებს.

ПРАВДА

პარტიული ცხოვრება

ჩვენი რიგების ხარისხი

სამაგ XXV ყრილობის საბოლოო ღუმელი — ასეთი წარწერა ამშვენებს ფერომანგანუმის ქარხნის პირველი საამქროს № 6 ღუმელს. მდნობელთა კოლექტივი ამაყობს ამ საპატიო წოდებით. რადგან ეს მისი ნაყოფიერი შრომის დამსახურებული აღიარებაა და მეტალურგებს ახალი, უფრო მაღალი მიჯნების ასაღებად აღაფრთოვანებს.

მეექვსე ღუმელის მდნობელთა შორის არიან ახალგაზრდა კომუნისტები — ხაკა XXV ყრილობის დელეგატი ტ. გეგეშიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი უ. ნიორაძე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი კ. გოგბერაშვილი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ვ. ალანდარიძე და სხვები. ოჯახის ოთახებით გამოდნობილი ლითონით, დაზოგილი ნედლეულითა და ელექტროენერგიით მეტალურგთა ეს პატარა კოლექტივი ყოველთვის პირველ ადგილზეა საწარმოში. ასეთი მოწინავეა ახალგაზრდებით სულ უფრო და უფრო იზრდება რაიონის პარტიული ორგანიზაციის რიგები.

ეს მაგალითიც სწორედ იმ დიდმნშვნელოვანი საქმის დადასტურებად შეიძლება ჩავთვალოთ, რომლის შესახებაც ლაპარაკი გვაქვს ამ წერილში.

ხაკა XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებმა დიდი ყურადღება დაუთმეს პარტიის რიგების ზრდასა და მისი რიგების ხარისხის გაუმჯობესებას. პარტიაში მისაღებად ადამიანის მომზადება ხანგრძლივ და სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. ხანაქბო შრომითს საქმიანობასთან ერთად მომავალი კომუნისტი უნდა იყოს ზნეობრივად სპეტაკი, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი, ყოველ კეთილ საქმეში პირადი მაგალითის მიმცემი. მხოლოდ ასეთ პიროვნებაში ჩამოყალიბდება პოლიტიკური მებრძოლის მაღალი თვისებები, რომელთა შემდგომი განმტკიცება-განვითარება პარტიული ორგანიზაციების მწყობრ ლენინძეობათა მთელ კომპლექსს მოითხოვს.

პარტიის ზესტაფონის რაიკომი, რომელიც თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს ლენინური მითითებებით, გულმოდგინე მუშაობას ეწევა პარტიაში ღირსეული შეკვების მოსაზიდავად. მთგან კომუნისტმოსაზიდავთის მებრძოლი აღამიანთა აღსაზრდელად.

პარტიის რიგების ზრდისა და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საკითხი სპეციალურად იქნა განხილული რაიკომის პლენუმზე. ბიუროს სხდომებზე ამ კუთხით ხშირად ვიმსჯელეთ პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობის ანგარიშებს, შემდეგ კი რაიკომის აპარატი, აქტივისტები ბოლომდე მიპყვებიან მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას, და შედეგიც სასურველია.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რაიონის პარტიული ორგანიზაცია 500 კომუნისტით გაიზარდა. ახალგაზრდა კომუნისტთა ნახევარი შუშა და კოლმეურნეა. ამაღლდა მათი თვისებრივი შემადგენლობა. პარტიაში ყველა ახალმოდებულს უმაღლესი, დაუთავრებელი უმაღლესი და სამუალო განათლება აქვს.

ჩვენი პარტიული რიგების ზრდა ძირითადად კომკავშირელთა ხარჯზე ხდება. ეს გასაგებიც არის: კომკავშირი პარტიის ერთგული თანამშემწე და რეზერვია. ბევრი მათგანი მაღალ მებრძოლურობას და ზნეობრივ თვისებებს ავლენენ. ეს კომკავშირული საგზურით მოვიდა პარტიაში მეორესვირული მწყეტავი ქალიშვილი ია ტყემელაშვილი. რძის წარმოების პირადი ხუთწლედი მან ოთხ წელიწადში შეასრულა და თვითეული ფურის წველადობა 325 კილოგრამით გაზარდა. იგი სახალხო კონტროლის ჯგუფის აქტიური წევრიც არის. მოწინავე ქალიშვილს ამაგი დაუფასდა — მონაწილეობდა საქართველოს კომუნისტთა ფორუმის მუშაობაში.

ტემპის ნაცვლად გეგმის კორექტირება?!

ლანჩხუთიდან ორიოდე კილომეტრზე მდებარეობს „ჯოლპის“ ტერიტორია, სადაც 1948 წელს ჩამოყალიბდა საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა წყალწინ მცენარეთ ფრინველებისათვის. ეს იმიტომ, რომ „ჯოლპის“ მიდამოები ჭაობანია. მაგრამ 1960 წელს აქ რაიონის კოლმეურნეობებში არსებული ფრინველები (ძირითადად ბატები) დიდი რაოდენობით შემოიყვანეს და წყალში მცურავი ფრინველები მოსპეს. სამწუხაროდ, ამ ჭაობიან ადგილას მექანიზმები დიდ სიძნელეებთან იბრძოდა „დაკავშირებული და ამიტომაც იყო, რომ ზემოხსენებული ორგანოების გადაწყვეტილებით 1971 წელს ლანჩხუთში დაიწყო საკოლმეურნეობათაშორისო ეფრინველეობის ახალი ფაბრიკის მთელი კომპლექსის მშენებლობა.

25 ათასი ფრთა ფრინველისათვის განკუთვნილი მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა 1975 წელს უნდა დამთავრებულიყო. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. თუ მშენებლების მიერ აღებული დღევანდელი ტემპით გაგრძელდა მუშაობა, ფაბრიკა 2-3 წელშიც არ გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

ფაბრიკის მშენებლობასა და მასი კეთილმოწყობის საპუშაოებზე გამოყოფილი იყო 2.408 ათასი მანეთი, აქედან ათვისებულია 1.429 ათასი მანეთი, ასათვისებელია 899 ათასი მანეთი. როგორც ადგილზე საქმის შესწავლამ გვიჩვენა, მშენებლობის სამუშაოები კუს ნაბიჯით მიდის და ცხადია, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ თანხებს ვერ ათვისებენ. ლანჩხუთის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს (თავმჯდომარე ვ. ხიჩარიშვილი) მუშაკები სხვადასხვა „ობიექტური“ მიზეზებით თავს იმართლებენ, მაგრამ ჩამორჩენის ძირითადი არსის გასარკვევად მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითებს.

ასეულ ათასობით მანეთის დანაგბარები ცის ქვეშ

□

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ დამტკიცა წლეულს ლანჩხუთის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის ე. წ. სტატიული სია, რომელის მიხედვით მშენებლებს უნდა შეესრულებინთ 600 ათასი მანეთის სამუშაო, ეს იყო წლის დასაწყისში. რამდენიმე კვირის შემდეგ — 11 მარტს სამინისტრომ რატომღაც კორექტირება გაუკეთა მის მიერ დაშვებულ, დამტკიცებულ მშენებლობის გეგმას და 100 ათასი მანეთით შეამცირა იგი.

სამწუხაროდ, გეგმის ასეთი კორექტირების მიხედვით თუ იმუშავეს, 1977 წელსაც — შესასრულებელი დარჩება რამდენიმე ასეული ათასი მანეთის სამუშაოც. ეს კი იყოს, საკითხავია, რა საჭიროა ისევაც წლების მანძილზე გაჭიანურებული მშენებლობა-ზე გეგმის ასეთი შემცირება, შრომის ტემპის შენელება?

საგულისხმოა ისიც, რომ პროექტით გათვალისწინებული ფაბრიკის კომპლექსის ყველა ნაგებობა (53 ობიექტი) უკვე აშენებულია, მაგრამ ახლა დანაშაულებრივად ჭიანურდება ფაბრიკის ტექნოლოგიური მოწყობილობისა და მანქანა-დანადგარების დამონტაჟები. 340 ათასი მანეთის ტექნიკური აღჭურვილობა, ძვირფასი დანადგარები მეორე წელია მეფრინველეობის ძველი ფერმის ეზოში ჭაობში ყრია და იჟანგება.

დაკვირვებიან, რომ ეს ფაქტი არავითარ კომენტარს არ საჭიროებს.

მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორად, ნ. სალაძე არჩეულია კომკავშირის რაიკომის მდივნად, ლ. ქათამაძე — ფეროშენაწინობთა ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნად და ა. შ.

მაგრამ სწორი არ იქნება იმის თქმა, რომ ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში გვაქვს. სამწუხაროდ, ასე არ არის და სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ.

შეუწყნარებლად უნდა მიგიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია არ ზრუნავს პარტიაში მისაღებთა რეზერვის შესაქმნელად. 1974 წელს 145 პირველადი პარტიული ორგანიზაციიდან პარტიაში არავინ მიუღია 88-ს, ხოლო შარშან არ გაზრდილა 81 პირველადი პარტორგანიზაცია. ბევრი მოწინავე ახალგაზრდა დილიკაურის, წიფლავაკის, ქვეყნა საზანოს საკოლმეურნეო, რკინიგზის საკავშირო ბუნების, ბუკუმბინანის, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს და სხვა პირველადი პარტიულ ორგანიზაციებში, მაგრამ მათი პარტიაში მისაღებად მომზადებისათვის თითქმის არაფერი კეთდება.

სოფელ წიფლავაკის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციაში აღრიცხავზე მყოფი 42 კომუნისტიდან 17 პენსიონერია. ბუნებრივია, რომ დაბალია ამ ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა და ეს უარყოფით გავლენას ახდენს წიფლავაკის კოლმეურნეობის საქმიანობაზე, რომელიც ყველაზე ნამორჩენილია რაიონში. ანალოგიური მაგალითები სხვაც არის. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ პარტიის რაიკომს უფრო ქმედითი ღონისძიებათა განხორციელება დაჭირდება ნაკლებ ბრძოლისუნარიანი პარტიული კოლექტივების მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

ცოდვა გამხელილი სჯობს. ზოგჯერ ობიექტურობა გვღალატობს ან ვცდებით პარტიის რიგებში მისაღებთა კონტინგენტის შერჩევისას. დასამალავი არ არის, რომ ადამიანთა ერთი კატეგორია ყოველგვარ მორეგნებითობას მიმმართავს პარტიაში შესვლის სურვილის დასაკმაყოფილებლად. ასეთი შემთხვევითი პირები კიდევაც აღწევენ მიზანს. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის სიფხიზლის მეფუნებით და ჩირქს სცხებენ კომუნისტის მაღალ სახელს.

სოფელ ტაბაკინის საშუალო სკოლის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე გ. ჩუბინიძე. ამის შემდეგ სულ მალე მან ხელი შეუწყო მორალურად გახრწნილ თავის ძმას დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც პარტიის რიგებიდან გაირიცხა.

მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღო ნ. თუთარაშვილი. ერთი თვის მანძილზე მან ჩაიდინა ბოროტი ხულიგნობა და მიეცემოდ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ისმება კითხვა: იცოდნენ თუ არა პარტიულმა ორგანიზაციამ და რეკომენდატორებმა თუთარაშვილის მორალური სახე? რა თქმა უნდა, იცოდნენ. მაგრამ საქმისათვის თავი არ აიტეხეს და ბევრი აუარეს მისაღები კანდიდატის პიროვნების სათანადოდ შესწავლას. ეს საკითხი პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს პრინციპული მსჯელობის საგანი ჯახდა. მკაცრი პარტიული სასჯელები დაედოთ უღირსი ახალგაზდების მთელი პერიოდი სერიოზული გამოცდის სახეს მიიღებს. მაგრამ რამდენად დასანანია, რომ პარტიაში მისაღებნი არც თუ იშვიათად ისე არიან დარჩენილი, რომ საზოგადოებრივი თუ პარტიული დავალება არა აქვთ, ანდა არავინ არ ამოწმებს მათთვის მიცემულ დავალებათა შესრულებას. ეს პასუხისმგებლობის გრძნობას უმეტესობს ბარტიაში მისაღებს, რაც შესაძლოა, შემდგომ მას მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვეს.

ეი ერთი მეტად დამაფიქრებელი ფაქტიც. შორაპნის ელექტროლემენტების ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში წლების მანძილზე ყურადღებას არ აქცევდნენ პარტიაში მისაღებთა მორალურ სისპეტაკეს. აქ პარტიის რიგებში შეუსწავლელად მიიღეს ლიანა ჯორგაძე და მადლენა სამხარაძე, რომლებიც მალე გარიცხულ იქნენ პარტიის რიგებიდან კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელის გამო. მათი ბედი ეწია შორაპნელ პედაგოგს ს. კეხნიკაძესაც, რომელმაც მეორე ქორწინების მიზნით ოჯახიდან მოიშორა უღანაშაულო მეუღლე მცირეწლოვანი ბავშვით.

ელექტროლემენტების ქარხანაში შექმნილი მდგომარეობა რაიკომის ბიუროს მკაცრი მსჯელობის საგანი გახდა. შეიცვალა ქარხნის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობა, ჯაუმჯობესდა კოლექტივის მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, განმტკიცდა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა. ახლა მეეკონომეტა 200-კაციანი პარტიული ორგანიზაცია ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში და ახალი ხუთწლედის მიჯნებს იპყრობს.

სკკპ XXV ყრილობამ კიდევ უფრო აამაღლა კომუნისტთა რწმენა და ავტორიტეტი. ბევრ ადამიანს აქვს ამ მომავალშიც ექნება ლენინურ პარტიაში შესვლის სურვილი. ეს ავალებს პარტიის რაიონულ კომიტეტს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს მოქმედების სახელმძღვანელოდ გაიხადონ პარტიის რიგების ზრდისა და მისი თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის სკკპ XXV ყრილობაზე გამოთქმული დებულებები და დასკვნები, მიანჭონ ღირსეულთა შორის ღირსეულთ კომუნისტის საპატიო სახელი.

ბ. მერკვილაძე,
საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი.

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

ტემპიან ნაცვლად ხარისხზე ინიციატივა

... 3 ... 3 ... 3

მსოფლიოს ამბები

ხალხის ნება უნდა შესრულდეს

ა. კუნიალის პრეს-კონფერენცია

ლისაბონი, (საკდესი). აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოსვლისას პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ა. კუნიალმა გააანალიზა საპარლამენტო არჩევნების შედეგები და ჩამოაყალიბა კომპარტიის პოზიცია უმნიშვნელოვანეს საშინაო-პოლიტიკურ საკითხებზე.

არჩევნების შედეგები, თქვა ს. კუნიალმა, ნათლად მოწმობს, რომ პორტუგალიელმა ხალხმა ხმა მისცა მემარცხენე უმრავლესობას პარლამენტში.

რამდენადაც ხალხმა ხმა მისცა მემარცხენე ძალებს, განმარტა მან, საჭიროა შეეასრულოთ მისი ნება და მივაღწიოთ სოციალისტური პარტიისა და კომუნისტური პარტიის შეთანხმებას. ახლა მთავრობამდე, რომელიც პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ უნდა შეიქმნას, თქვა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, ხელისუფლების სათავეში უნდა დარჩეს მეექვსე დროებითი მთავრობა ახლანდელი შემადგენლობით.

შეეხო რა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის პოზიციას პრეზიდენტის არჩევნების საკითხში, ა. კუნიალმა თქვა: კომპარტიამ განაცხადა, რომ სასურველი იქნება პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელონ სამხედრო მოღვაწე, რომელსაც შთაგონებს 25 აპრილის განმათავისუფლებელი იდეები. პორტუგალიელი ხალხი დაინტერესებულია ქვეყანაში სტაბილური დემოკრატიული წყობილების დამყარებით. ამიტომ პორტუგალიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპი ამჟამად არის იმის საკითხი, რომ ყველა მოქალაქემ სცეს პატივი ახალ დემოკრატიულ კონსტიტუციას.

ოკუპანტთა მხეცობა

ამმანი. (საკდესი). ისრაელის მიერ ოკუპირებულ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე კვლავ დაძაბული ვითარებაა. ნახლუსში 1 მაისს მხეცურად გაუსწორდნენ მშვიდობიან დემონსტრაციას, რის შედეგად მოკლულია ერთი და დაჭრილია რამდენიმე ათეული კაცი. ამ ამბავმა მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია.

აქ მიღებული ცნობებით, ისრაელის სოფლაცაცო ხელისუფალნი ძალაში ტოვებენ კომენდანტის საათს „ასაბში" — ქალაქ ნაბლუსის ძველ ნაწილში.

ათასობით ისრაელი ჯარისკაცი და პოლიციელი თავმოყრილია დასავლეთ ნაპირის საკვანძო დასახლებულ პუნქტებში. საოკუპაციო ადმინისტრაციამ აკრძალა რამოლაჰიდან იერუსალიმში მდინარე იორდანის ხეობის მცხოვრებთა მშვიდობიანი მარში, რომელიც უნდა გამართულიყო პროტესტის ნიშნად ამქარა ინექსის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ტელ-ავივის მმართველი წრეები ახორციელებენ არაბული ტერიტორიების მიმართ.

ნაბლუსში დახურულია დუქნები და მაღაზიები, არ მუშაობენ სკოლები.

ვითარება ლიბანში

ბეირუთი. (საკდესი). ლიბანის დედაქალაქსა და მის გარეუბნებში გრძელდება შეტაკებანი ეროვნულ-პატრიოტულ და მემარჯვენე ძალებს შორის. არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლს უშენდნენ პრაქტიკულად ბეირუთის ყველა რაიონს. გუშინ დილიდან ბრძოლები განახლდა ლიბანის მთიან რაიონებში.

გაბმართა უმაღლესი სამხედრო კომიტეტის სხდომა, რომლის მონაწილეებმა მკაცრად დაგმეს შეიარაღებული შეტაკებების განახლება და მოითხოვეს მათი შეწყვეტა.

მსოფლიოს ქალაქებში

ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი ვიენტიანი.

სურათზე: ქალაქის კიწოთიატრებში უჩვენებენ საბჭოთა ფილმებს.

ბალხის ნება

ეროვნული პიტლიოთეკა

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

მორიგი რაუნდი

საარჩევნო კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი. (საკდესი). შეერთებულ შტატებში ჩატარდა პირველადი არჩევნების მორიგი რაუნდი, რომლის დროს უნდა განსაზღვროს პრეზიდენტის პოსტის პრეტენდენტ კანდიდატთა პოპულარობა რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის, აგრეთვე უნდა აირჩიონ დელეგატები ამ პარტიების ყრილობებზე, რომლებიც ამტკიცებენ პრეზიდენტობის კანდიდატებს.

ამჯერად არჩევნებში ტეხასის შტატში რესპუბლიკელებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორი რ. რეგანი. მანამდე ექვს შტატში იგი დამარცხებულად დაამარცხა ახალგაზრდა პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა.

დემოკრატებს შორის კვლავ მაღალია წარმატებას ჯორჯიის ყოფილმა გუბერნატორმა ჯ. კარტერმა, რომელმაც გაუსწორა ტეხასის სენატორს ლ. ბენტსენსა და ალაბამის გუბერნატორს ჯ. უოლეს.

პირველადი არჩევნებში ზედიზედ რამდენიმე დამარცხების შემდეგ სენატორმა გ. ჯექსონმა გამოაცხადა, რომ „ვამდლის აქტიური ბრძოლიდან" პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურის დასახელებისათვის დემოკრატიული პარტიისაგან.

პირველადი არჩევნები უნდა მოეწყოს ქვეყნის კიდევ 20-ზე მეტ შტატში. არჩევნები დამთავრდება ივნისის დამდეგს, ხოლო შემდეგ გაიმართება დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების ყრილობები.

პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება 2 ნოემბერს.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

კაირო. (საკდესი). აქ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ეგვიპტის მიერ შეერთებული შტატებისათვის 10 მილიონი დოლარის გადახდას კომპენსაციის სახით ამერიკელ მოქალაქეთა საკუთრებისათვის, რომლის ნაციონალიზაცია ერთ დროს განახორციელეს ეგვიპტის ხელისუფლებმა. შეთანხმებას ხელს მოაწერეს კაიროში ვაზიტად მყოფმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანის მოადგილემ ეკონომიური საკითხებში ჩ. რობინსონმა და ეგვიპტის ეკონომიკის მინისტრმა მ. ხ. შაფიმ.

ბრუნო კალეტი:

ნარეული შთაბეჭდილებები

იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ხაბარველმაიორი ზეიმში რესპუბლიკის დედაქალაქში, 3 მაისს გაემგზავრნენ თბილისიდან.

მე მესამედ ვარ საქართველოში, — უთხრა გიორგინის წინ საკინფორმის კორესპონდენტს დელეგაციის ხელმძღვანელმა, გარიბალდის დივიზიის ყოფილმა მეთაურმა ბრუნო კალეტიმ, და განსაკუთრებით თვალნათლივ ვხედავ ქართველი ხალხის ჩინებულ მიღწევებს.

როცა თბილისელთა სადღესასწაულო კოლონებში მოვდიოდით, ჩვენ ვიგრძენით საბჭოთა ადამიანების განსაკუთრებული ენთუზიაზმი, შემოქმედებითი აღმავლობა, ადამიანებისა, რომლებიც ესწრაფვიან ახალ საქმეებს ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

არმანდო კალდარამ, სერვადეის სახელობის ბრიგადის ყოფილმა მეთაურმა, რომლის ერთ-ერთ ქვეგანაყოფში იბრძოდა ფორე მოხალისეები, განაცხადა:

— ჩვენ ყველანი მოგვიხიბლა ქართველი ხალხის გულთბილობამ და გულითადობამ. მუდამ გვეხსომება თბილისის საპარველმაიორო დემონსტრაცია, ჯანი შეგვიძლია დავიფიწყოთ თქვენი მშვენიერი ანალგაზრდობა, თავიანთი წარმატებებით ამაყი მშრომელების ხალისიანი გამომეტყველება! პირველი მაისის დღეს ჩვენ ოვალნათლივ ვნახეთ საბჭოთა ადამიანების სიბრძოლი სოლიდარობა, თქვენი მიღწევების ინტერნაციონალური მნიშვნელობა. (საქინფორმი).

ბაგიროვი

ბაკურ

ბაბაიანი

ბაბალიანი

ბაბალიანი

ბაბალ

ქუთაისის ქარ-თული ხალხ-თა ხელოვ-ნის გალერეა

კულტურის ახალი კერა

ქუთაისში მუშაობას შეუდგა ქართული ხალხური ხელოვნების გალერეა

ჩემი ქუთაისი! — გულისფანცქალით, თითქოს ჩურჩულით თქვა მეოცე საუკუნის სწორუპოვარმა ქართველმა ლირიკოსმა გალაკტიონ ტაბიძემ. თქვა და ამ ორი სიტყვით არა მარტო თავისი უნაზესი და უტკბილესი სიყვარული გაგვიმხილა, არამედ სიამაყეც გამოხატა იმის გამო, რომ მისი ცხოვრების პირველი ქალაქი ქუთაისია, პოეტური სიტყვის ბევრი ოსტატის მიერ შემკობილი და ნაფერები. ამ სიამაყის უპირველესი საფუძველია ქალაქის დიდი ისტორიული წარსული და მდიდარი კულტურული ტრადიციები, მისი დღევანდელობა — ყოველმხრივ განვითარებული და აღორძინებული, მისი მომავალი — ზრდისა და განახლების ნათელი პერსპექტივებით.

დღევანდელი ქუთაისი ამაყობს და უნდა იამაყოს კიდეკაც თავი-ხი ინდუსტრიით — ქარხნებითა და ფაბრიკებით, ხუთწლედის გმირებით, თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებითა და კერებით, როგორიც არის პედაგოგიური და პოლიტიკიური ინსტიტუტები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, მუსიკალური სახლვალეები და სამხატვრო სკოლა, დრამატული, საოპერო და თოჯინების თეატრები, ხაკონცერტო დარბაზები, კინოთეატრები, ლიტერატურული ალმანახი „განთიადი“. სახე იცვალა, დამშვენდა და გალამაზდა ქალაქის ბევრი უბანი, ქუჩა, ბაღი, სკვერი... უახლოეს წარსულში ხოკოებივით გაჩრილებული კეთილმოუწყობელი სახლკლეებისა და ხალუდეების ადგილი დაიკავა თვალიხა და გულისთვისხაც სახლიმოვნოდ გამომზირალმა საზოგადოებრივი კვების ობიექტებმა, კულტურული გართობა-დასვენების კერებმა და დაწესებულებებმა...

სულ ახლახან კი, აპრილის ბოლოს ვარდ-ყვავილებით შემკულ საგაზაფხულო ქუთაისში კიდევ ერთ დიდ საქმეს დაედგა თავი — რუსთაველის სახელობის მოედანზე გაიხსნა ქართული სახვითი ხელოვნების გალერეა.

გალერეის გახსნისას მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარემ დ. დვალიშვილმა თქვა:

— განუზომლად დიდია სიხარულის გრძნობა, რომელიც გაზაფხულის ამ მშვენიერ დღეს ქართული ხელოვნების თაყვანისმცემელთ, თვითეულ ქუთაისელს ეუფლება: ქალაქის კულტურული ცხოვრების მაჯისცემას ამიერიდან ტონს მისცემს კიდევ ერთი ახალი კერა — სახვითი ხელოვნების გალერეა. ჩვენს თანაქალაქელებს დღეიდან სრული შესაძლებლობა ექნებათ ეზიარონ მაღალ კულტურას, მრავალეროვანი და მრავალდარგოვანი სახატვრო ხელოვნების მდიდარ შემოქმედებას. გალერეა კულტურის ერთ-ერთი დიდი კერა იქნება ქუთაისში. იგი ხელს შეუწყობს და დაეხმარება ჩვენს მშრომელებს დიდი შემოქმედებითი აღმავლობით იბრძოლონ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXV კრების გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

— გალერეია, რომელიც საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის გ. თოდუაძისა და არქიტექტორ ს. გაგუას პროექტით აშენდა, ორსართულიანია და ოთხი დიდი და ორიც მცირე საგამოფენო დარბაზისაგან შედგება, — გვითხრა გალერეის დირექტორმა, მხატვარმა არჩილ ჩოგოვაძემ. თითქმის უკვე ერთი კვირაა, რაც იგი მუშაობს და უნდა ითქვას, რომ ბევრი მნახველიც ჰყავს. შთაბეჭდილებათა წიგნი, ჩანაწერებით იავსო. ყველა მთაგაში გამოხატულია დიდი მადლობა და სიხარული ქუთაისში კულტურის ამ ახალი კერის გახსნის გამო...

გამოფენის მუდმივ ექსპოზიციაშია 350 ნამუშევარი—ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, ჭედურობა, გამოყენებითი ხელოვნება... მნახველები დიდი ინტერესით ეცნობიან ნიკო ფიროსმანაშვილის, გიგო გაბაშვილის, იაკობ ნიკოლაძის, ალექსანდრე ციმაკურიძეს, დავით კაკაბაძის, მოსე თოიძის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის, შალვა ძნელაძის, პოლონ ქუთათელაძის, ნიკოლოზ კანდელაკის, თამარ აბაკელიას, ლადო გუდიაშვილის, უჩა ჯაფარიძის, სილოვან კაკაბაძის, ვალერიან მიზანდარის, ელგუჯა ამაშუკელის, მერაბ ბერძენიშვილის, კორნელი სანაძის, გიორგი ონიაურის, რუსუდან ჯავრიშვილის და კიდევ ბევრი სხვა მხატვრის ნამუშევრებს, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა.

ჯერჯერობით გალერეის სასარგებლო ფართობი დაახლოებით 1.400 კვადრატული მეტრია. უახლოეს მომავალში შემოგვემატება კიდევ 6 ოთახი, რომელთა საუძველზე გაიხსნება მეცნიერ-მუშაკთა და სარესტავრაციო კაბინეტები, დამხმარე სახელოსნოები (მაგალითად, სადურგლო და სხვა), კეთილმოწყობა ძირითადი შესანახი სათავსო. ჯერჯერობით მოუგვარებელია გათბობისა (უფრო სწორად, შუდმივი ტემპერატურის) და ვენტილაციის საკითხი, რაც უნდა ითქვას, ძალიან საშური საქმეა...

გალერეაში შევხვდით ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს და ვთხოვეთ თავიანთი შთაბეჭდილება გაეზიარებინათ „ოგონიოკის“ მკითხველებისათვის. აი, რა გვითხრეს მათ:

ვალერიან მიზანდარი, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი: — სამხატვრო გალერეა საუკეთესო საჩუქარია ჩვენი ქალაქის სახვითი ხელოვნების ოსტატებისათვის, აგრეთვე ყველა ქუთაისელისათვის, ვისაც უყვარს და ინტერესებს მხატვრობა... ათასი მადლობა უნდა გუთხრით ყველას, ვინც ამ საშვილიშვილო საქმეს დაადგა თავი, ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, ჩვენს ხელისუფლებას, რომელთა მუდმივი ზრუნვის საგანია მშრომელთა ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

შოთა პირველი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი: — ამიერიდან ქუთაისში გვაქვს გალერეა, ჩვენი ქალაქის მხატვრებს აქვთ შუდმივი საგამოფენო დარბაზი, რაც მე მგონია, გარკვეული სტიმული იქნება მათი შემოქმედებითი დაოსტატებისათვის...

ქეთევან ნადირაძე, ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის დირექტორი: — მოგეხსენებათ, სკოლებში ხატვას ასწავლიან, ჩვენთან ქალაქში სპეციალური სამხატვრო სკოლაც არის. ჰო-და, თქვენთვის ნათელია, თუ რაოდენ დიდად დაეხმარება შუდმივი სამხატვრო გამოფენა ჩვენს მასწავლებლებს, რომ ხატვის სწავლების მყარი საფუძველი შეუქმნან. მე მგონია, ზოგჯერ აქ და გაკვეთილის ჩატარებაც არ იქნება ურიგო.. გალერეაში ხშირად კოლექტიურად უნდა მოვიყვანოთ მოსწავლეები და უშუალოდ აქ ვესაუბროთ მათ ფერთა საიდუმლოებაზე, ჩვენი სახვითი ხელოვნების ისტორიაზე, ჩვენი თანამედროვე ოსტატების შემოქმედებაზე...

შუკრი გიგინეიშვილი, საავტომობილო ქარხნის რაციონალიზატორ-გამომგონებელთა ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი, კომკავშირის პრემიისლაურეატი: — გულახდილად უნდა გითხრათ, როცა გალერეას ვათვალიერებდი, რაღაც განსაკუთრებულ სიხარულსა და სიამაყეს ვგრძნობდი. ეს სიხარული და სიამაყე ალბათ იმითაც იყო გამოწვეული, რომ რამდენიმე ნაწარმოებში ჩვენი ავტოქარხნის ცხოვრებაა ასახული, აქ სურათებზე. ზოგიერთ ჩემს თანაქარხნელ მეგობარს შევხვდი. ვფიქრობ, რომ ე. წ. მრეწველობის თემამ უფრო მეტი ადგილი უნდა დაიკავოს ქუთაისელი მხატვრების შემოქმედებაში, მით უმეტეს ახლა, როცა მათ იმის საშუალება აქვთ, რომ თავიანთი



სურათებზე: ქუთაისის ქართული სახვითი ხელოვნების გალერეის ექსპონატები: ი. ნიკოლაძის „ვ. ი. ლენინი „ისკრის“ შექმნის პერიოდში“; ნ. ფიროსმანაშვილის „ქართველი ქალი ბავშვებით“; ლ. გუდიაშვილის „სიმღერა სამშობლოზე“; ქვემოთ — გალერეის საერთო ხედი; ერთ-ერთი საგამოფენო დარბაზი.

ბ. მაღლაფერიძის ფოტო.

ეს ქართველებიც ღირსეულ მოსაგონებლად

გმირები მწყობრში რჩებიან

ლ ბილისში ჩუღურეთის უბნელებს და ახლო მდებარე ქუჩების ომამდელ მცხოვრებთ კარგად ახსოვთ ერთი მკვირცხლი ბიჭუნა, ხელში მუდამ ფანდურებსა და ხატავ ჟალოდს რომ ატრიალებდა. ხატავდა, უყვარდა შრომა, მშობლებსაც ახარებდა, ყველ გრძნობდა, რომ მას ხატვის ნიჭი ჰქონდა, ამბობდნენ კიდევაც, ამ ბავშვს დიდი მომავალი აქვსო.

გადაიოდა წლები, იხეიწებოდა ბავშვობა, მაღლდებოდა ხატვის ოსტატობა, დადგა სკოლის დამთავრების პერიოდი. და აი, ნიჭიერმა ახალგაზრდამ ბრწყინვალედ ჩაბარა მისაღები გამოცდები, სამხატვრო აკადემიაში ჩარიცხეს.

როცა სტუდენტი ხარ და ჯერ 19 წელიც არ შეგსრულებია, შენს წინ ისახება მთელი ცხოვრების სილამაზე, ამოირჩევ რომელიც გნებავს დარგს, შემდეგ — შრომა, ნებისყოფა და სასახელო კაცი გახდები...

ამ ოცნებით იყო გატაცებული ახალგაზრდა მხატვარი აპოლონ კორვალიძე, როცა ჩვენს ქვეყანას ომის ხანძარი მოედო. ასეთ შემთხვევაში მამულიშვილისათვის გარა სხვა რამ უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, ვიდრე სამშობლოს დაცვა?

აპოლონი ომის პირველი დღეებიდანვე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. სამხატვრო აკადემიიდან მოსულმა ახალგაზრდა მებრძოლმა კარგად აითვისა სამხედრო ტექნიკა და მალე მეტყვეამფრქვევად დანიშნეს. ამ პერიოდისათვის ომში ტყვიამფრქვევი მძლავრი იარაღი იყო.

მისმა „მაქსიმკამ“ ბევრ ფაშისტს დაუბნელა თვალი, მრავალ ბრძოლაში ისახელა თავი და ბევრჯერ სარდლობის მადლობა დაიმსახურა.

კორვალიძეების ოჯახიდან სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში ჩადგნენ აგრეთვე მიხეილი, პორფილე, ამბროსი და შალრო. ომის დამთავრების შემდეგ ამბროსი და შალრო შინ ორდენებითა და მედლებით მკერდამშვენებულები დაბრუნდნენ, აპოლონისა, პორფილესა და მიხეილისა კი არაფერი ისმოდა.

აპოლონი ომის დაწყების წინა დღეებში რუსთაველის გვნიალური ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციაზე შუშაობდა. ერთ-ერთი ესკიზი, რომელიც ხანგრძლივ გაკეთებული ჰქონდა ჯარში გამგზავრების წინ, სასწრაფოდ დაამთავრა და მამას უსახსოვრა. ეს სურათი, რომელსაც ნაჩქარევი ხელი ატყვია, ოჯახის რელიკვიად იქცა და საპატიო ადგილი აქვს მიჩენილი. აქვეა აპოლონის მიერ ფრონტის სხვადასხვა უბნებიდან გამოგზავნილი სამკუთხა თუ ღია ბარათები. აი რა წერია მის მიერ დედისათვის 1943 წელს გამოგზავნილ უკანასკნელ ღია ბარათში:

— საყვარელო დედიკო! როგორ ხართ? რომ იცოდე როგორ მენატრებით ყველა, ჩემი დარდი ნუ გექნებათ, ვებრძვი ფაშისტებს მედგრად, როგორც კი მიიღებ, ამ ბარათს, პასუხი მომწერე, ძალიან მაინტერესებს თქვენი ამბავი.

აპოლონის დედა ხშირად მდუმარედ დასცქერის საყვარელ შვილის ამ ბარათს და მის თვალწინ გაიელვებს ხოლმე აპოლონის დაუვიწყარი სახე.

დედას აბა იმედს რა გამოუღვებს, იგი დღესაც ელოდება პირმშოს და ხშირად ხმამაღლა იტყვის ხოლმე, მშვიდობა იყოს ამ ქვეყნად და შვილებიც კარგად იქნებიანო.

ფრონტული ბარათებიდან ჩემი ყურადღება მიიპყრო ამბროსი კორვალიძის 1943 წლის მარტში გამოგზავნილმა ერთმა წერილმა, რომელშიც ვკითხულობთ: ჰოსპიტალში ვიმყოფები, პრილობა მიხორცდება, მალე ისევ ჩავდგები მოქმედი არმიის რიგებში, მტერი სამშობლოდან უნდა გაგიანდგუროთ. თუ [illegible]ლის ველზე დავიცა, ნუ დაიდარდებ, სამშობლოს შვილი უნდა, იმ სამშობლოს, რომელმაც აღგზარდა, გზა გაგვიკაფა ბედნიერი ცხოვრებისაკენ.

ასევე, მტერზე გამარჯვების დიდი იმედებით იყო დაწერილი შაქრის წერილებიც.

შემონახულ ფრონტულ წერილთა შორის ყურადღებას იქცევს აგრეთვე მიხეილის ბარათი. მასში ჩანს მებრძოლი კაცის ამაყი ბუნება, შეუდრეკლობა. იგი იწერებოდა: ფრონტის ამ უბანზე, სადაც მე ვიმყოფები, კარგად მიდის საქმე.

ბარათის მეორე გვერდზე რუსულ ენაზე, პარტიაში მიღების რეკომენდაციის ტექსტი იყო დაწერილი, სადაც „კითხულობთ: მე, მიხეილ სერგოს ძე კორვალიძე, [illegible] პარტიის წევრი [illegible] ... [illegible] პეტრე [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...